4 707 № 10488

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

# მებრძოლი გუშაგი — Боевой страж

გაზეთი გამოდის 1926 წლიდან
ГАЗЕТА ВЫХОДИТ С 1926 ГОДА

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანო
ОРГАН МИНИСТЕРСТВА ВНУТРЕННИХ ДЕЛ ГССР

შაბათი, 5 მაისი, 1990 წელი ● № 19 (2896) ● СУББОТА, 5 МАЯ 1990 г.

**ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრებს, შინაგან საქმეთა სამმართველოების, სამსახურების, ორგანოებისა და ქვედანაყოფების უფროსებს, პოლიტგანყოფილებების, პოლიტნაწილების უფროსებს, მოადგილეებს პოლიტდარგში**

საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის, პოლიტიკური განყოფილებისა და პარტიული კომიტეტის სახელით გილოცავთ თქვენ და მთელ პირად შემადგენლობას დიდ სამამულო ომში გამარჯვების 45-ე წლისთავს!

საბჭოთა ხალხის გმირობა ფრონტსა და ზურგში, რომლის მსგავსი არ ახსოვს ისტორიას, სამუდამოდ დარჩება მთელი პროგრესული კაცობრიობის მეხსიერებაში. საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოების მუშაკები არასოდეს დაივიწყებენ სამშობლოს დამცველებს, რომელთა შორის არაერთმა მილიციის თანამშრომელმა იბრძოლა და ომის წლებში ვაჟკაცობისა და სიმამაცის მაგალითები აჩვენა. ბევრმა მათგანმა ნათელი მომავლისათვის თავი დასდო ბრძოლის ველზე. ჩვენი კოლეგების მიერ იმ მძიმე დღეებში ჩადენილი სასახელო საქმენი დღეს ცოცხლობენ ჩვენს გულებში. რესპუბლიკის შინაგან საქმეთა ორგანოების მთელი პირადი შემადგენლობის ყოველდღიურ მუშაობაში.

გისურვებთ თქვენ და თქვენს ოჯახებს მშვიდობიან ზეცას, ჯანმრთელობას, ბედნიერებასა და ახალ შრომით მიღწევებს ჩვენი ხალხის საკეთილდღეოდ!

**საქართველოს სსრ შსს კოლეგია, პოლიტიკური განყოფილება, პარტიული კომიტეტი.**

## შამი ჩვენი საზრუნავისა

**ჩვეული** პომპეზურობისა და ზარზეიმის გარეშე გაიმართა პირველი მაისის დღესასწაული საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. ახლა, როცა მკვეთრად გადახლართულა საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცხოვრების პრობლემები, ამის დრო არ არის. პლურალიზმისა და ფაქტობრივი მრავალპარტიულობის პირობებში ნათლად გამოჩნდა რესპუბლიკის როგორც სამეურნეო, ისე სულიერი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში არსებული არევდარეულობა, რომელიც წინათ მიჩუმათებული იყო. ახლა შექმნილი მდგომარეობიდან თავის დაღწევის გზების ძიება ფართო განხილვის, აზრთა ცხოველი გაზიარების, დისკუსიების საგანი ხდება ყველა დონეზე, ყველა კოლექტივში.

პირველ მაისს საწარმოებსა და მეურნეობებში, დაწესებულებებსა და სასწავლებლებში გაიმართა შეხვედრები, პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანთა პატივდება, რომლებზეც ილაპარაკეს საქართველოში ამჟამად მიმდინარე რადიკალური განახლების, ახლებური ცხოვრებისაკენ წინსვლის რთულ და ზოგჯერ წინააღმდეგობრივ პროცესებზე.

ტრადიციისამებრ ამ დღეს გაიმართა სეზონის გახსნა კულტურისა და დასვენების პარკებში, კულტურის სახლებსა და კლუბებში, კინოთეატრებში, სპორტულ ბაზებში, გაიმართა პროფესიული და თვითმოქმედი მხატვრული კოლექტივების კონცერტები, გაიხსნა თეატრალური გამოფენები, მოეწყო დოკუმენტური ფილმების ჩვენება და სპორტულ-მასობრივი ღონისძიებანი.

## В КОЛЛЕГИИ МВД ГССР

**27 АПРЕЛЯ состоялось очередное заседание коллегии МВД ГССР.**

**На заседании с информациями об итогах работы аппаратов БХСС Министерства внутренних дел республики в сфере агропромышленного комплекса Грузинской ССР за 1985-1990 годы и состоянии оперативно-розыскной работы органов внутренних дел республики в деле выявления и пресечения фактов спекуляции выступил начальник УБХСС МВД ГССР полковник милиции Г. Патарая.**

**О задачах по перестройке деятельности органов пожарной охраны республики в свете приказа МВД СССР «О серьезных недостатках в обеспечении противопожарной безопасности» членов коллегии министерства проинформировал начальник УПО МВД ГССР полковник внутренней службы Д. Сурмава.**

**На заседании коллегии была также заслушана информация начальника Информационного центра МВД ГССР полковника милиции А. Наскидашвили об информационном обеспечении органов внутренних дел республики и его совершенствовании.**

## С ЗАБОТОЙ О МИЛИЦИИ

**Многое делается в последнее время руководством страны для совершенствования работы органов охраны правопорядка. Новым свидетельством постоянного внимания правительства к этой проблеме стало принятое Советом Министров СССР в целях повышения роли ОВД в борьбе с преступностью и комплектования их квалифицированными кадрами постановление «Об улучшении материального обеспечения работников органов внутренних дел».**

**В ИЗДАННОМ** в связи с правительственным постановлением приказе министра внутренних дел СССР генерал-лейтенанта В. Бакатина говорится, что это решение правительства является свидетельством заботы государства о советской милиции, о всех работниках органов внутренних дел и направлено на реализацию решений Президента СССР, II Съезда народных депутатов СССР и Верховного Совета СССР по укреплению правопорядка и законности в стране.

Постановлением Совета Министров СССР существенно повышено денежное содержание начальствующего состава всех подразделений милиции, пожарной охраны, исправительно-трудовых учреждений, учебных заведений, научно-исследовательских институтов и других служб системы МВД СССР.

Общая сумма повышения заработной платы работников органов внутренних дел составит свыше 1,4 миллиарда рублей в расчете на год.

Приказом министра внутренних дел СССР в соответствии с постановлением Совета Министров СССР оклады по должностям утверждены и вводятся в действие с 1 мая 1990 года.

В приказе отмечается, что Министерство внутренних дел СССР выражает твердую уверенность в том, что руководители и весь личный состав органов внутренних дел в ответ на заботу Президента СССР, Коммунистической партии и Советского правительства примут все меры по совершенствованию служебной деятельности, повышению профессионального уровня работы, укреплению правопорядка и законности в стране.

## ინფორმაცია

**27 აპრილს** კრემლში სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ა. ი. ლუკიანოვმა ფიცი დაადებინა სსრ კავშირის საკონსტიტუციო ზედამხედველობის კომიტეტში არჩეულ პირებს — „სსრ კავშირში საკონსტიტუციო ზედამხედველობის შესახებ“ სსრ კავშირის კანონის — მე-7 მუხლის შესაბამისად.

**დეპუტატმა** თამაზ გამყრელიძემ სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს სესიაზე დასვა საკითხი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრად საქართველოს მიღების შესახებ. მანვე სესიაზე აღნიშნა, რომ დაუშვებელია რუსული ენა გამოვაცხადოთ ეროვნებათაშორისი ურთიერთობის ოფიციალურ ენად.

**შეიქმნა** საქართველოდან გაწვეულ ჯარისკაცთა ინტერესებისა და უფლების დაცვის რესპუბლიკური საქველმოქმედო საზოგადოება, რომელიც მოწოდებულია ქართველი ჯარისკაცების სასიცოცხლო ინტერესები დაიცვას საბჭოთა საოკუპაციო არმიაში. აგრეთვე იბრძოლოს ქართული ეროვნული ჯარის შექმნისათვის.

## ნაახალისევს

**ჩვენი** გაზეთის რედაქცია, როგორც ყველა გაზეთის კოლექტივი დაინტერესებულია იმაში, რომ სულ უფრო მეტი ავტორი გამოვიდეს მის ფურცლებზე, პირველ რიგში კი რასაკვირველია შს ორგანოების თანამშრომლები. სამწუხაროდ ასეთი შტატგარეშე კორესპონდენტების აქტიურობით არ ვართ არათუ განებივრებული, არამედ თითებზე ჩამოსათვლელი არიან ისინი, ვინც მხარში გვიდგას, სისტემატიურად გვაწვდის მასალებს დღევანდელი ცხოვრების საჭირბოროტო პრობლემებზე, ოპერატიულ-სამსახურებრივ საქმიანობაზე. მათ შორის განსაკუთრებით გამოირჩევიან თბილისის შს სამმართველოს ერთ-ერთი დანაყოფის მეთაური, მილიციის პოდპოლკოვნიკი რ. გრიგალაშვილი, გალის შს რაიგანყოფილების უფროსის მოადგილე პოლიტნაწილში, მილიციის მაიორი ჯ. გაბელია და ფოთის პროფესიული საწანძრო რაზმის უფროსი ლ. ჭოჭუა. ამ დღეებში სამსახურებრივი მოვალეობის კეთილსინდისიერად შესრულებისათვის და ჩვენს გაზეთში აქტიური თანამშრომლობისათვის რედაქციის წარდგინებით ისინი შს სამინისტროს ბრძანებით წახალისებული არიან.

## მადლობა სტუმართმოყვარეობისათვის

**... ამ დღეს** ხალხის ნაკადი სიხარულით მიდიოდა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზში, სადაც საზეიმო ვითარებაში იხსნებოდა მეგობრობის საღამო „ატლანტა-თბილისი.“ სტუმრად მოსულ მასპინძლებს თან მოყვებოდნენ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მათთან ჩამოსული სტუმრები, ჯორჯიის შტატის წარმომადგენლები — 300 სტუმარი, რომლებიც რამოდენიმე დღის განმავლობაში იმყოფებოდნენ მათ ოჯახებში სტუმრად; დღეს ეს საკვირველიც არ არის...

— პირადად მე, განაცხადა ბატონმა მაიკ მაკ' რეიმ ალბათ ჩემი ცხოვრების მანძილზე, ვერც კი გადავიხდი იმ დიდ პატივისცემას და სითბოს, რომელიც გამოიჩინა ჩემმა მასპინძელმა, ფიზიკის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორმა ბატონმა გოგი ხარაბაძემ, ვის ოჯახშიაც ვიყავი სტუმრად და განა მარტო ბატონი გოგი? მთელი მისი ოჯახი აკეთებდა ყველაფერს, რომ ჩემი სტუმრობა მათთან ყოფილიყო დაუვიწყარი. განა რა დამავიწყებს სვეტიცხოველს და ჯვრის მონასტერს, ანანურს და კახეთს, ალბათ მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვება ბატონ გოგის ოჯახში ნასწავლი თქვენი შესანიშნავი სიმღერა — „ჩემო კარგო ქვეყანა“.

ორიოდე დღის წინ, ჯორჯიის შტატის ქალაქ. კოლუმბუსის (აშშ) მკვიდრი, ადრე ამ ქალაქის პოლიციის ერთ-ერთი წამყვანი მუშაკი, შემდგომში კერძო დეტექტივი, ამჟამად ჯორჯიის შტატის იუსტიციის სამინისტროს მუშაკი არასრულწლოვანთა ზედამხედველობის დარგში ბატონი მაიკ მაკ' რეი ბატონ გოგი ხარაბაძესთან ერთად სტუმრად მივიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრთან, შ/ს გენერალ-ლეიტენანტ შოთა გორგოძესთან. სამინისტროში მათ შორის გაიბა ორივე მხარისათვის საინტერესო საუბარი, რომელიც რამოდენიმე საათს გაგრძელდა. შემდეგ მაკ' რეი ეწვია ავჭალის ბავშვთა შრომა-გასწორების დაწესებულებას. სტუმრად ყოფნის დროს დაწესებულების უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა, შ/ს პოდპოლკოვნიკმა ჯ. ბესელიამ სტუმარს მოუყვა დაწესებულების აღზრდილთა ცხოვრებისა და საქმიანობის შესახებ, გააცნო მათი განაწესი, დაწესებულების მოსამსახურეთა საქმიანობა, დიდი ინტერესი და საქმიანი საუბარი გაიმართა დაწესებულების საშუალო სკოლის დირექტორსა და ბატონ მაიკ მაკ' რეის შორის. შინაგან საქმეთა სამინისტროს გამასწორებელ საქმეთა სამმართველოს უფროსის მოადგილემ, შ/ს სამსახურის პოდპოლკოვნიკმა ს. ხარაბაძემ პასუხი გასცა სტუმრის ყველა შეკითხვას, სტუმარმა იქ მყოფთ გააცნო ჯორჯიის შტატში არსებული არასრულწლოვანთა კოლონიის ცხოვრება.



საინტერესო იყო ბატონ მაიკ მაკ' რეის შეხვედრა მსჯავრდადებულ ახალგაზრდებთან. გაიმართა გულახდილი საუბარი.

დაწესებულების აღსაზრდელებმა სტუმარს გადასცეს მათ მიერ დამზადებული ჭედური ნამუშევრები, კერამიკის სურები.

დაწესებულებიდან წასვლის წინ ბატონმა მაიკ მაკ' რეიმ აღსაზრდელებს და დაწესებულების მუშაკებს გადასცა სამახსოვრო საჩუქრები და განაცხადა: „— მე მინდა, რომ არც ერთი თქვენთაგანი ხვალ აღარ მოხვდეს ამ დაწესებულებაში, რომ ხვალ ისევე როგორც მე, თქვენც იყოთ ჩვენი ბავშვების სტუმრები, ასევე ჩამობრძანდეთ ჩვენთან ჯორჯიაში, როგორც ჩვენ ვართ თქვენს ღვთაებრივ მიწაზე.

**გ. მგალობლიშვილი.**

ავტორის ფოტო.

### მრავალი მაგიდის გარშემო ანუ გაფართოებული კოლეგიის სხდომის შემდეგ

# გზა — გავლილი, გზა — გასავლელი





**დღეს ამ რუბრიკით გთავაზობთ ინტერვიუს საქართველოს შს სამინისტროს სისხლის სამართლის სამძებრო და სოცსაკუთრების დატაცების და სპეკულაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოების უფროსებთან, მილიციის პოლკოვნიკებთან გ. შალამბერიძესთან და გ. ბატარაიასთან.**

**რედაქცია კვლავაც ელის მკითხველთა მოსაზრებებს ინტერვიუში დასმულ საკითხებზე.**

**— გვაინტერესებს თქვენი შეფასება — თუ რისი განხორციელება შეძლო და რისი ვერა თქვენდამი რწმუნებულმა სამსახურმა გასულ 1989 წელს?**

გ. შ. 1989 წელს შინაგან საქმეთა ორგანოების და მათ შორის სისხლის სამართლის სამძებრო აპარატების მთელი ძალისხმევა ფაქტიურად მიმართული იყო რესპუბლიკაში ოპერატიული და პოლიტიკური ვითარების სტაბილიზებისაკენ, რომელიც წლის განმავლობაში არაერთხელ გართულდა ცალკეულ რეგიონებში ცნობილ მოვლენებთან დაკავშირებით. ჩვენი სამსახური აქტიურ მონაწილეობას იღებდა საზოგადოებრივი წესრიგის უზრუნველყოფაში, ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების მასიურ არეულობებში გადაზრდის თავიდან აცილებაში.

უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის სამძებრო აპარატების მუშაკთა არადანიშნულებისამებრ გამოყენებამ უარყოფითი ზეგავლენა მოახდინა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის მდგომარეობაზე.

როგორც ცნობილია რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა დანაშაულთა რაოდენობა, მათ შორის ისეთი მძიმე სახის, როგორიც არის მკვლელობა — 33,6 პროცენტით, ყაჩაღობის — 55,5 პროცენტით, შენელდა ბრძოლის ტემპი ნარკომანიის ხაზით, გართულდა ოპერატიული ვითარება არასრულწლოვანთა შორის, ბევრი გადაუწყვეტელი პრობლემა რჩება დამნაშავე პირების ძებნის ორგანიზაციის საქმეში. სამწუხაროდ ოპერატიული ვითარების გართულების ტენდენცია გრძელდება მიმდინარე წლის განვლილ პერიოდშიც. მიუხედავად ამისა ჩვენს მუშაობაში აღინიშნებოდა დადებითი მომენტებიც. 1989 წლის განმავლობაში გაიხსნა 152 მკვლელობა, გამოვლენილი იქნა 926 დანაშაულებრივი ჯგუფი 2308 პირის შემადგენლობით, ბოროტმოქმედებისაგან ამოღებულია 300-ზე მეტი საბრძოლო, ცეცხლსასროლი იარაღი და სხვ.

გ. ბ. ბოლო წლების განმავლობაში ჩვენმა სამსახურმა მნიშვნელოვანი მუშაობა ჩაატარა თანამდებობრივ და სამეურნეო დანაშაულებებთან ბრძოლის გაძლიერების მიზნით. პარალელურად ჩატარდა მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებები დანაშაულის აღკვეთა-აცილებისათვის. მიუხედავად რესპუბლიკაში შექმნილი რთული მდგომარეობისა ამ მიმართულებით მუშაობა, ფაქტიურად არ შენელებულა. მაგრამ, როგორც გამოვლინებული საქმეების აგრეთვე ჩვენთან არსებული ოპერატიული ინფორმაცია მოწმობს, სახელმწიფო ქონების დაცვის მდგომარეობა ჯერ კიდევ საგანგაშოა — განსაკუთრებით რთული მდგომარეობაა აგრომრეწვის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობის, მშენებლობის, მსუბუქი, ადგილობრივი მრეწველობის და სახალხო მეურნეობის სხვა სფეროებში. ფაქტიურად ჩვენ ვერ შევძელით საგრძნობლად გარდაგვეტეხა უკეთესობისაკენ ოპერატიული ვითარება რა თქმა უნდა, ამის ერთ-ერთი მიზეზია ადგილობრივი ორგანოების პასიურობა, არადამაკმაყოფილებელი მუშაობა — ზოგიერთ შემთხვევაში მილიციის უფროსების, სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების თანამშრომლების მოუქნელობა, საქმისადმი გულგრილი მიდგომის შედეგია ის, რომ 1989 წელს აფხაზეთში — 204, ოსეთში — 25, ბოგდანოვკაში — 7, მცხეთაში — 10, ხაშურში — 13 ერთეულით იკლო ფაქტების გამოვლინებამ.

**— კოლეგიის სხდომაზე როგორ შეფასდა თქვენი სამსახურის მუშაობა და რა საკითხებზე იქნება თქვენი ყურადღება გამახვილებული სამომავლოდ?**

— ვაგრძელებ რა აზრს მინდა აღვნიშნო, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიამ ორმხრივი შეფასება მისცა ჩვენს მუშაობას ერთდროულად დადებითიც და უარყოფითიც, რითაც განისაზღვრა მიმდინარე წელს ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულებები: მუშაობის გააქტიურება დანაშაულის თავიდან აცილებისა და გახსნის საქმეში, რეციდიული და ჯგუფური დანაშაულობების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება, არასრულწლოვანთა ხაზით სამართალდარღვევების აღკვეთა. ამასთან ერთად განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს მოსახლეობისაგან, პირველ რიგში დამნაშავე ელემენტებისაგან უკანონოდ შენახული დიდი რაოდენობით ცეცხლსასროლი იარაღის ამოღებას.

—შინაგან საქმეთა სამინისტროს კოლეგიის სხდომაზე მთელი სერიოზულობით ითქვა იმის შესახებ, რომ ჯერჯერობით სუსტად წარმოებს ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. განსაკუთრებით გამახვილდა ყურადღება იმაზე, რომ საჭიროა ძირეულად გაუმჯობესდეს მუშაობა კორუფციის და სპეკულაციის წინააღმდეგ. ყურადღება მიექცა იმას, რომ რესპუბლიკაში ძალზედ რთული ვითარება შეიქმნა კოოპერატივების ხაზით. ეკონომიკის ამ დარგში მოკალათდა ბევრი საქმოსანი და კომბინატორი, რომლებიც სხვადასხვა მაქინაციებით ითვისებენ კოლოსალურ თანხებს.

კოლეგიის გადაწყვეტილებიდან გამომდინარე ჩვენ რა თქმა უნდა დავსახეთ და ვახორციელებთ კონკრეტულ ღონისძიებებს, ოპერატიულ-სამძებრო მუშაობის ძირეულად გარდაქმნისათვის.

**— გარდა რესპუბლიკაში მიმდინარე ყველასათვის ცნობილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოვლენებისა და ეთნოკრიზისისა, რას თვლით ხელის შემშლელად დასახული მიზნებისაკენ მიმავალ გზაზე, სუბიექტური და ობიექტური მიზეზები?**

— ამჟამად საზოგადოების დემოკრატიზაციის პერიოდში, ყოველგვარი ნეგატიური გამოვლინების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება ნიშნავს შინაგან საქმეთა ორგანოების საქმიანობის ძირეულ გარდაქმნას და ისეთ მდგომარეობაში მოყვანას, როდესაც ყოველ მოქალაქეს ექნება დანაშაულებრივი ხელყოფისაგან დაცვის გარანტია. ამავე დროს დაცული იქნება კანონიერება და სამართლებრივი სახელმწიფოს ნორმები.

სამწუხაროდ რესპუბლიკაში ოპერატიული ვითარების გაჯანსაღების პროცესს, აფერხებს მთელი რიგი ობიექტური და სუბიექტური მიზეზები. სამინისტროს ხელმძღვანელობას სერიოზულად აფიქრებს თანამშრომლების არასათანადო პროფესიული მომზადება; მათი უუნარობა სწრაფად და სწორად გაერკვნენ რთულ ოპერატიულ-პოლიტიკურ ვითარებაში; ნაკლოვანებები საკადრო პოლიტიკაში, მოსახლეობის, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დაბალი აქტიურობა დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების საერთო კომპლექსში. ამავე დროს მდგომარეობას ართულებს ოპერატიული სამსახურების თანამშრომელთა არასაკმარისი რაოდენობა, მათი სუსტი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და დაბალი ხელფასები, სამსახურში მიღებული მნიშვნელოვანი ფსიქოლოგიური და ფიზიკური დატვირთვის სანაცვლო სოციალური კომპენსაციის არარსებობა და სხვა.

— რესპუბლიკაში შექმნილი საერთო ეკონომიკურ-პოლიტიკური და სოციალური მდგომარეობა რასაკვირველია თავისებურად აფერხებს ჩვენს მუშაობას. სხვადასხვა სუბიექტური და ობიექტური მიზეზების გამო გართულებულია თანამდებობრივი და სამეურნეო დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა. განსაკუთრებით გვიშლის ხელს ამ საკითხებში სამინისტროების, უწყებების სარევიზიო და მაკონტროლებელი ორგანოების უპრინციპო ფორმალური და არც თუ ისე იშვიათად, აშკარა შემრიგებლური პოზიციები ნეგატიურ მოვლენებთან. თითქმის ყველა შემთხვევაში როცა ჩვენ გამოვავლინეთ დიდი და განსაკუთრებით დიდი ოდენობით დატაცებების ფაქტები, აღნიშნულ ობიექტებზე სათანადო სარევიზიო აპარატების მიერ ჩატარებული იყო შემოწმებები, მაგრამ უშედეგოდ. ალბათ არ არის საჭირო იმის მტკიცება, რომ ჩვენ რამდენიც არ უნდა ვამხილოთ დამნაშავენი, პრობლემას ვერ გადავწყვეტთ, თუ სამინისტროების და უწყებების ხელმძღვანელობა არ ამოგვიდგებიან მხარში.

**— რა კუთხით წარმართავს თქვენი სამსახური მუშაობას მიმდინარე წელს, ანუ ძირითადი მიმართულებები?**

— ამ კითხვაზე შეუძლებელია ერთგვაროვანი პასუხის გაცემა. საჭიროა გრძელვადიანი, მეცნიერულად დასაბუთებული კომპლექსური პროგრამა სისხლის სამართლის სამძებროს თანამშრომლების მომზადების, აღზრდისა და სწავლების მიზნით. უნდა გავთავისუფლდეთ ამ საკითხებში კუსტარულობისა და პრიმიტიულობისაგან. ჩემი აზრით ამ საქმიანობაში აქტიურად უნდა მოვიზიდოთ ჩვენი ვეტერანები, სისხლის სამართლის სამძებროს პროფესიონალები. ამათან დაკავშირებით გადაწყვეტას მოითხოვს მათი მორალური და მატერიალური სტიმულირების საკითხი.

სოცსაკუთრების დატაცებისა და სპეკულაციის წინააღმდეგ მებრძოლი სამსახურების ძირითადი მიზანია ყოველნაირად გავაძლიეროთ ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ — აქ იგულისხმება როგორც სახელმწიფო ქონების დატაცებები, ასევე მექრთამეობა და სპეკულაცია. პარალელურად ყველა ღონეს ვიხმართ რათა გაძლიერდეს პროფილაქტიკური მუშაობა დანაშაულის აღკვეთა-აცილების მიზნით.

**— როგორ ფიქრობთ ამაღლოთ თითოეული თანამშრომლის პროფესიონალური დონე და პასუხისმგებლობა მინდობილი საქმის კეთილსინდისიერად შესრულების საქმეში, რას თვლით ამისათვის საჭიროდ?**

— ჩატარდა სამსახურის ყველა თანამშრომლის რიგგარეშე ატესტაცია. მან საშუალება მოგვცა ობიექტურად შეგვეფასებინა თითოეული მუშაკის მომზადების დონე, მათი შესაძლებლობები, გამოგვევლინა დადებითი და უარყოფითი მხარეები. ის თანამშრომლები რომლებიც ვერ აკმაყოფილებდნენ წაყენებულ მოთხოვნილებებს გადავიყვანეთ სხვა სამუშაოებზე ბოგდანოვკის, რუსთავის, დმანისის, ლენტეხის, სენაკის და მარნეულის სულ 6 თანამშრომელი, 12 თანამშრომელს გაეწია სათანადო დახმარება პროფესიული დონის ამაღლებისათვის.

ამავე მიზნით ჩვენ დაწესებული გვაქვს ახლად მიღებული, აგრეთვე მუშაკების, რომლებიც ამას საჭიროებენ, ერთთვიანი სტაჟირება ცენტრალურ აპარატში. გარდა ამისა, სამმართველოს გამოცდილი მუშაკები რეგულარულად ჩადიან ადგილებზე პრაქტიკული დახმარების გაწევის მიზნით. პრაქტიკაში გვაქვს აგრეთვე სამსახურის ხელმძღვანელების და რიგითი მუშაკების გაგზავნა ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში არსებულ სპეციალიზებულ სკოლებში კვალიფიკაციის ასამაღლებლად.

იმისათვის, რომ ძირეულად ამაღლდეს თითოეული თანამშრომლის პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი, სამმართველოს და სამინისტროს ხელმძღვანელობასთან რეგულარულად ხდება მათი ანგარიშების მოსმენა.

**— დასახული მიზნების მისაღწევად როგორ გესახებათ ურთიერთობა ჩვენს გაზეთთან და თვლით თუ არა მას აუცილებლად. რას მისცემს თქვენს სამსახურს ეს ურთიერთობა?**

— დღეს ყოველი საქმის წამოწყების წარმატება მთლიანად დამოკიდებულია საზოგადოების ობიექტურ ინფორმირებაზე. ამ კუთხით მასობრივი ინფორმაციის საშუალებების, მათ შორის თქვენი გაზეთის როლი უდავოდ დიდია და იგი უფრო გაიზრდება თუ მასში გამოქვეყნდება კომპეტენტური სტატიები, დაისმება უფრო გლობალური პრობლემები და კონტროლი გაეწევა მათი შესრულების მდგომარეობას. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენი მჭიდრო კონტაქტები დიდ სარგებლობას მოუტანს დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეს.

— რა თქმა უნდა „მებრძოლ გუშაგთან“ ჩვენს ურთიერთობას მხოლოდ დადებითი შედეგების მოტანა შეუძლია, მე მიმაჩნია, რომ აღნიშნულ საკითხებზე უფრო ხშირად უნდა იწერებოდეს თქვენს გაზეთში. უმჯობესია, თუ ეს თანამშრომლობა მიიღებს უფრო კონკრეტულ სახეს. კერძოდ მე მხედველობაში მაქვს, რომ პუბლიკაციები უნდა ეხებოდეს ამა თუ იმ კონკრეტულ თემებს, პრობლემებს, ამა თუ იმ ადგილობრივი ორგანოს მუშაკებს, მათ საჭირბოროტო საკითხებს.

**მასალა მოამზადა ძ. ანდრიაძემ**

# «АФГАНЕЦ» ИЗ ТКЕМЛАНА

ВОТ уже более пяти лет работает в органах внутренних дел бывший «афганец», преподаватель огневой подготовки Учебного центра МВД ГССР лейтенант милиции Нодар Капанадзе, на которого мы обратили внимание на встрече с ветеранами изза многочисленных медалей, украшавших его мундир. Я попросил его рассказать о себе.

Родился Н. Капанадзе в селе Ткемлана Ахалцихского района, там же закончил восьмилетку, затем профтехучилище, получил специальность машиниста широкого профиля.

В 1981 году Н. Капанадзе призывается на службу в ряды Советской Армии, несколько месяцев подготовительных курсов, затем Афганистан...

За время прохождения службы в инженерно-саперной роте в г. Джалалабаде он показывает себя как грамотный и обученный командир отделения. Неоднократно принимает участие в подготовке и проведении боевых операций по уничтожению банд формирований мятежников.

В одной из операций в провинции Панджир отделение под командованием Н. Капанадзе выполняло ряд боевых задач по обнаружению и обезвреживанию минно-взрывных заграждений противника. Несмотря на обстрелы отделения со стороны противников, саперы с честью выполнили поставленную перед ними задачу. Рискуя жизнью, Н. Капанадзе неоднократно приходил на помощь своим товарищам, вызывая огонь на себя, вынося с поля боя раненых солдат.

Всего за время Панджирской операции отделением Капанадзе было обнаружено и обезврежено 15 мин, 4 фугаса и уничтожено 10 противников.

— Шел второй год службы, очередная операция, на этот раз в провинции Лагман. Моему отделению, — вспоминает Н. Капанадзе, — была поставлена задача обнаружить и обезвредить минно-взрывное заграждение по маршруту движения бронегруппы. Во время выполнения боевой задачи отделение саперов было прижато к земле прицельным ружейно-пулеметным огнем противника. Проявляя мужество и героизм, Н. Капанадзе незаметно выдвинулся во фланг противника, что позволило саперам улучшить боевые позиции и привело к полному уничтожению наседавшего противника. Во время этого боя лично командиром отделения Н. Капанадзе, было уничтожено 7 мятежников.

За добросовестное выполнение своего патриотического и интернационального долга Н. Капанадзе награжден медалью «За отвагу», двумя медалями «За боевые заслуги», знаком «За разминирование» и т. д. Его имя занесено в Книгу почета соединения, в котором он служил.

После демобилизации Нодар поступает на службу в органы внутренних дел республики, в Учебный центр МВД ГССР милиционером. В данный момент он работает инспектором огневой подготовки.

**А. МАЛАЯНЦ.**



НА СНИМКЕ: занятия проводит лейтенант милиции Н. Капанадзе.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ВОЗВРАЩАЯСЬ К НАПЕЧАТАННОМУ

# НИ ОТВЕТА, НИ ПРИВЕТА...

**ТАК МОЖНО КРАТКО ОХАРАКТЕРИЗОВАТЬ РЕАКЦИЮ (А ТОЧНЕЕ ЕЕ ПОЛНОЕ ОТСУТСТВИЕ) НЕКОТОРЫХ РУКОВОДИТЕЛЕЙ НА КРИТИЧЕСКИЕ ВЫСТУПЛЕНИЯ НАШЕЙ ГАЗЕТЫ.**

**ИЗЛИШНЕ**, наверное, напоминать о том, что газетные публикации — как зеркало, в котором отражаются все наши достижения и недостатки. В последнем случае особенно важно знать, какие же именно меры приняты для их устранения — ведь без обратной связи немыслима нормальная работа редакции, да и самих организаций, о которых идет речь.

Пропишные, казалось бы, истины, но даже в наше время гласности, публичного обсуждения самых сложных, государственных проблем некоторые руководители позволяют себе, мягко говоря, «не замечать» критических выступлений в адрес возглавляемых ими подразделений, выявленных здесь тех или иных недостатков. Так, например, в номере нашей газеты от 8 июля прошлого года был опубликован критический материал под заголовком «А воз и ныне там...», в котором речь шла о прямо-таки бедственном положении работников медвытрезвителя г. Тбилиси. Старое одноэтажное здание, построенное без учета сейсмических особенностей местности, в котором приходится нести службу сотрудникам подразделения, находится уже длительное время в аварийном состоянии.

В том же материале для наглядности было опубликовано фото, на котором запечатлены потолки с осыпающейся штукатуркой, зияющие трещинами стены и другие, не требующие особых комментариев, факты.

Несмотря на то, что в материале конкретно названы все службы, ответственные за организацию ремонта, либо перевода подразделения на другое место, — УВД Тбилгорисполкома, ОКС и ХОЗУ МВД ГССР, — ни от одной из них редакция до сих пор (спустя почти год!) не получено никакого ответа о том, что же делается, или хотя бы планируется сделать для исправления создавшегося положения. А оно, как нам известно, и по сей день остается без изменений. Словом, воз, как говориться, и ныне там...

Более полугода прошло с момента опубликования материала «Чистота — понятие конкретное» (Газ. «Боевой страх» № 43 от 21 октября 1989 г.), подготовленного по результатам проведенной Медотделом МВД ГССР проверки санитарного состояния внутренних и прилегающих территорий ряда учреждений системы УИД МВД ГССР. В частности, отмечалось, что территория республиканской больницы УИД МВД ГССР содержится в антисанитарном состоянии, захламлена строительным и бытовым мусором, железной арматурой и другим металлоломом. Здесь же из-за повреждения системы канализации больницы растекаются фекальные сточные воды, что может в любой момент осложнить эпидемиологическую ситуацию в данном микрорайоне. Все это также было наглядно проиллюстрировано фотографиями, однако и этот тревожный сигнал редакции все еще остается без должного реагирования.

Хочется напомнить руководству упомянутых подразделений, что критические публикации пишутся не для красного словца и не для заполнения газетного пространства. У нас есть о чем писать, и куда приятнее это делать по хорошим поводам, которых предостаточно. Что же касается своевременного и адекватного реагирования на критику, то это один из показателей как обстановки в коллективе, так и правильного понимания задач, которые ставили перед собой журналисты, касаясь того или иного наболевшего вопроса. Проблемы-то у нас общие, решать их надо коллегиально, помогая друг другу.

# ПРОЯВИЛИ БДИТЕЛЬНОСТЬ

**БЫЛ** уже поздний вечер, когда сотрудники дорожно-патрульной службы ГАИ МВД Абхазской АССР старшие лейтенанты милиции З. Басилая и А. Вардия и старшина милиции М. Этерия, завершив дежурство, возвращались на машине в Гальский РОВД.

Проехав всего несколько километров, они в свете автомобильных фар увидели беспризорно лежащие на тротуаре две большие сумки. Сотрудники милиции осмотрели сумки, в них оказались деньги и драгоценные вещи. Уже в отделе милиции после более тщательного исследования содержимого сумок выяснилось, что различных ценностей в них, в том числе золотых серег с бриллиантами, оплаченной квитанции на покупку гарнитура импортной мебели и денежных купюр достоинством в 50 и 100 рублей было более чем на 16 тысяч рублей.

Поскольку сумка была найдена близ Очамчире, в том же районе и были организованы поиски владельцев сумок. Благодаря своевременно принятым мерам уже на следующее утро владельцы сумок были найдены, и, после опознания, им было возвращено потерянное.

Как выяснилось в дальнейшем, гражданин М. С. со своими близкими ехал на машине «Жигули» из Гали в Очамчире. Внезапно управлявшему машиной его зятю стало плохо сердцем. Когда его переносили на заднее сиденье, сумки поставили на тротуар, где в спешке и забыли, торопясь поскорее добраться до больницы. Однако ценности, уже казалось потерянные, были вовремя возвращены владельцам, которые от всего сердца поблагодарили за это сотрудников милиции.

**Г. МГАЛОБЛИШВИЛИ.**



**НА СНИМКЕ:** дежурство на трассе Очамчире-Гали несет наряд в составе М. Этерия, З. Басилая и А. Вардия.

## Только факты

● **28 апреля Гальским РОВД возбуждено уголовное дело в отношении Валерия К., колхозника села Сабериао, и рабочего Мзиурского чайсовхоза Дазмири Г., которые в начале апреля на территории гослесфонда произвели самовольную вырубку леса, причинив материальный ущерб лесхозу соответственно на 1.542 и 686 рублей.**

● **29 апреля работниками УУР МВД ГССР совместно с сотрудниками Марнеульского РОВД на посту ГАИ около Красного моста задержан Мухудбар С., рабочий Тбилгрэс, у которого изъят кнопочный нож.**

● **29 апреля в Глданском массиве г. Тбилиси трое молодых людей под видом пассажиров подсели в кооперативное такси, управляемое владельцем Роландом С., и, выехав на территорию Тбилисского моря и под угрозой ножа отобрав 100 рублей, скрылись. Принятыми мерами по «горячим следам» сотрудниками 1-го отделения РОВД двое преступников задержаны. Ими оказались ученики Василий М. и Спартак Ш. Награбленное изъято.**

● **30 апреля сотрудниками ЛОВД на ст. Гори задержан Гия Т., неработающий, который в г. Краснодаре у неустановленного лица закупил тушь для ресниц импортного производства в количестве 150 шт. на сумму 750 рублей и все с целью перепродажи по месту жительства.**

# გავაძლიეროთ ბრძოლა ლოთობისა და ალკოჰოლიზმის წინააღმდეგ

**ახლახან** საქართველოს სსრ შს სამინისტროს კოლეგიაზე მოისმინეს ანგარიში შს ორგანოების მიერ ლოთობასა და ალკოჰოლიზმის დაძლევის ღონისძიებათა შესახებ დადგენილების შესრულების მიმდინარეობაზე. აღინიშნა, რომ გასულ წელს ჩვენს რესპუბლიკაში ძალიან რთული ვითარება იყო შექმნილი, რაც თავისთავად ცხადია, მძიმე ტვირთად დააწვა შს ორგანოების მუშაობას.

აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში, ქვემო ქართლსა და თბილისში გამწვავებული სიტუაციის გამო, საჭირო შეიქმნა მილიციის მნიშვნელოვანი ძალების ამ რეგიონებში განაწილება. ამასთან დაკავშირებით ლოთობისა და ალკოჰოლიზმის დაძლევისათვის გათვალისწინებული ღონისძიებები 1989 წელს უფრო ნაკლებად მიზანმიმართული იყო, ვიდრე წინა წლებში, მიუხედავად შექმნილი ვითარებისა, საქართველოს შს ორგანოებმა მთელი რიგი კომპლექსური ღონისძიებები განახორციელეს ამ სოციალური ბოროტების აღმოსაფხვრელად, მაგრამ სიმთვრალეში ჩადენილმა სისხლის სამართლის დანაშაულმა 1988 წელთან შედარებით 1989 წელს 2,5 პროცენტით მოიმატა.

უნდა ითქვას, რომ საანგარიშო წლის განმავლობაში მილიციის მუშაკების მიერ ჩატარდა 5 ათასზე მეტი ლექცია — საუბარი, პრესაში გამოქვეყნდა 700-ზე მეტი წერილი და მოეწყო 2 ათასამდე რადიოგადაცემა.

საჭიროა აღინიშნოს ისიც, რომ 1988 წელთან შედარებით გასულ წელს იმატა ისეთი სახის დანაშაულებებმა, როგორიცაა მკვლელობა და მკვლელობის მცდელობა (26,5 პროცენტით) სხეულის მძიმე დაზიანება (26,5 პროცენტით), ხულიგნური გამოხდომები (4,6 პროცენტით), ხოლო მძიმე დანაშაულებებმა მთელი 29,6 პროცენტით მოიმატა. ამ დროს სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულის წონამ მხოლოდ მკვლელობის მხრივ მოიმატა, ისიც 0,7 პროცენტით, ხოლო გაუპატიურება და გაუპატიურების მცდელობა შემცირდა 3 პროცენტით, შემცირდა აგრეთვე სხეულის მძიმე დაზიანება — 5,2 პროცენტით, ხულიგნობა 1,5 პროცენტით.

სტატისტიკური მონაცემები ადასტურებს, რომ საანგარიშო პერიოდში ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის დარღვევისათვის კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ზომები მიღებული იქნა 30,5 ათასი კაცის მიმართ. რესპუბლიკის სამედიცინო გამოსაფხიზლებელში მოთავსდა 16,912 მოქალაქე, რაც 3028 კაცით ნაკლებია ვიდრე 1988 წელს. რიცხობრივი მაჩვენებლის კლება გამოიწვია იმან, რომ დროებით დაიკეტა თბილისის შს სამმართველოსთან არსებული სამედიცინო გამოსაფხიზლებელი, რომელიც ისე დახურეს რომ ახალი შენობა არ გამოუყვიათ და არცაა ცნობილი თუ როდის დაიწყებს ფუნქციონირებას. გასულ წელს მუშაობა შეასუსტეს ქუთაისის, გორის, ცხინვალის, სამტრედიის, ქობულეთის და მარნეულის სპეცდაწესებულებებმა. ჯერ კიდევ ადგილი აქვს შემთხვევებს, როდესაც სამედიცინო გამოსაფხიზლებლებში მუშაობენ ისეთი პირები, რომლებიც უარყოფითად ხასიათდებიან სხვა ადგილებზე მუშაობისას.

უნდა აღინიშნოს, რომ არყის გამომხდელთა გამოსავლენად სუსტად იმუშავა ზოგიერთმა განყოფილებამ, — ახალციხის, ახმეტის, გორის, დუშეთის, ქარელის, კასპის, ყვარელის, მცხეთის, საგარეჯოს, თელავის რაიონების, ქალაქების: გორის, რუსთავის, მარნეულის და მთელ რიგ სხვა შს განყოფილებებს კი მსგავსი დარღვევა საერთოდ არ გამოუვლენიათ.

საანგარიშო პერიოდში გამოვლენილია არყის გასაღების მიზნით გამოხდის 126 (1988 წელს — 97) ფაქტი. ამასთან ერთად 97 კაცი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიეცა.

გასულ წელს მოსახლეობიდან ამოღებულ იქნა 2198 ცალი არყის სახდელი აპარატი და 12,5 ათას ლიტრამდე შინნახადი არაყი. ეს მაჩვენებელი რასაკვირველია ნაკლებია ვიდრე 1988 წელს და ეს ბუნებრივია, რადგან არყის სახდელი აპარატებისა და „ჭაჭის“ ჩამორთმევის პროცესი უკვე რამდენიმე წელია მიმდინარეობს, მიუხედავად ამისა მისი გამოვლენა იმდენად უმნიშვნელოა, რომ მილიციის მუშაკთა საქმიანობა, შეიძლება თამამად ითქვას, რომ თვითდინებაზეა მიშვებული. ასე მაგალითად: მთელი წლის განმავლობაში ახმეტის რაიონში ჩამორთმეული იქნა არყის სახდელი 5 აპარატი და 100 ლიტრა „ჭაჭა“, თელავში — 2 აპარატი და 100 ლიტრა არაყი, დუშეთში — 2 აპარატი და 30 ლ. არაყი, რუსთავში — 5 აპარატი და 21 ლ. არაყი და ა. შ.

ასევე გრძელდებოდა ბრძოლა შინნახადი არყით მოვაჭრე სპეკულანტთა გამოსავლენად, სულ მხილებულია 124 დამნაშავე (1988 წელს — 119). უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმეში სათანადო წვლილი შეაქვთ სატრანსპორტო მილიციის მუშაკებს.

დროულად იქნა გამოვლენილი და რესპუბლიკის ხელმძღვანელობას ეცნობა იმის შესახებ, რომ აღმასკომები მრავალ საფაჭრო ობიექტებს თვითნებურად აძლევენ უფლებას ივაჭრონ ალკოჰოლური სასმელებით. შესაძლებელი გახდა მდგომარეობის სტაბილიზება, მაგრამ გასულ წელს მაინც დაიწყო სპირტიანი სასმელების საყოველთაო გაყიდვა, ამასთან ისეთ ობიექტებზე, რომლებიც ტერიტორიულად დასასვენებელ სახლებს, სანატორიუმებს, სკოლებსა და სხვა სასწავლო დაწესებულებების ზონაში მდებარეობენ. აშკარად არასასურველი მდგომარეობაა ამ მხრივ კოოპერატივებშიც. უნდა ითქვას, რომ დარღვევათა გამოვლენის დიდი წილი შს სამინისტროს ცენტრალური აპარატის მუშაკებზე მოდის, მაშინ როდესაც მთელ რიგ რეგიონებში ასეთი მაჩვენებლები საერთოდ არ გააჩნიათ (სამხრეთ ოსეთი, ახმეტა, გარდაბანი, დუშეთი, ქარელი, კასპი, მცხეთა, საგარეჯო). კიდევ ბევრი საზრუნავი აქვს სახელმწიფო ავტოინსპექციის მუშაკებს (საანგარიშო პერიოდში მთვრალი მძღოლების მიზეზით ჩადენილია 106 საგზაო სატრანსპორტო შემთხვევა, როდესაც დაიღუპა 24 მოქალაქე და სხეულის დაზიანება მიიღო 841 ადამიანმა, ჯერ კიდევ ადგილი აქვს მსჯავრდებულებისადმი ალკოჰოლური სასმელების გადაცემის მცდელობას.

ახლახან ჩამოყალიბდა პროფილაქტიკური სამსახურის სამმართველო, რომლის შემადგენლობაშიც ფუნქციონირებს ალკოჰოლიზმით დაავადებულ პირთა მხრიდან მოსალოდნელ დანაშაულობათა ინდივიდუალური პროფილაქტიკის განყოფილება. ანტიალკოჰოლური კანონმდებლობის დარღვევათა წინააღმდეგ ბრძოლის საკითხთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც ადრე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს დანაყოფების კომპეტენციაში იყო, ამჟამად პროფილაქტიკის სამსახურის სამმართველოს პრეროგატივას წარმოადგენს მაგრამ ვფიქრობთ ამ სოციალური ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლაში საჭიროა შს ორგანოების სხვა სამსახურების, პირველ რიგში ავტოინსპექტორთა, უბნის ინსპექტორთა, აგრეთვე მთელ საზოგადოებასთან ერთობლივი მუშაობის გაშლა.

**ი. ნაზლიძისი,**
**საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის სამმართველოს განყოფილების უფროსი, მილიციის პოდპოლკოვნიკი.**

НА ФЕСТИВАЛЬНОЙ ОРБИТЕ

# ...ОРКЕСТР НАШ ДУХОВОЙ

**НА** недавно прошедшем в Тбилиси республиканском смотре - конкурсе самодеятельных духовых оркестров в рамках III Всесоюзного фестиваля народного творчества первое место было присуждено духовому оркестру МВД Аджарской АССР, а первенство оспаривали коллективы из Тбилиси, Кутаиси, Рустави, Зугдиди, Зестафони, Боржоми, Хашури, Мцхета и других городов. Тем почетнее для батумцев награда.

Три года назад у начальника политического отдела МВД Аджарской АССР подполковника милиции И. Цулукидзе появилась идея создать в нашем министерстве самодеятельный духовой оркестр — ведь эстетическая ценность подобного начинания неоценима.

Люди старшего поколения, чтобы послушать духовой оркестр, специально приходили в городской парк — отдохнуть, приобщиться к искусству, слушая действительно хорошую музыку. Для них это было событием.

Так вот, с помощью музыканта Владимира Александровича Задорина в политотделе МВД Аджарии решили вопрос о создании оркестра. Собрали музыкантов, большинство из которых непрофессионалы — милиционеры отдела вневедомственной охраны Батумского ГОВД сержанты милиции А. Сулухия, Д. Джавашвили, Ю. Ширинский, Т. Геладзе и другие, пожарные — младший сержант в/с О. Думбадзе, лейтенант в/с Т. Думбадзе и другие, и закипела работа. Начинание поддержало и руководство министерства. Политотдел МВД помог оркестру приобрести инструменты да и сейчас делает для оркестра все, что может.

Коллектив много выступает во всевозможных смотрах и конкурсах, праздничных концертах, что способствует повышению нравственно-эстетических качеств сотрудников ОВД республики. 26 участников оркестра радуют своим искусством слушателей. Среди них члены семьи и близкие родственники наших сотрудников, заслуженные артисты Аджарии — Федор Юхимец и Николай Секретаренко, музыканты Заур Бубашвили и Иван Невежин, любитель Кукури Антидзе и многие другие.

Все свое свободное время посвящают эти люди музыке, которая стала для них частью жизни.

В репертуаре оркестра более 30 произведений. Достаточно назвать композиторов Чайковского, Штрауса, Карашвили, Пахмутову, чтобы иметь представление о широте исполнительского диапазона. Большое место в репертуаре занимают произведения грузинских композиторов.

Все это в совокупности и обеспечило успех на нынешнем республиканском смотре-конкурсе, прошедшем в г. Тбилиси. Член республиканского жюри, дирижер духового оркестра МВД ГССР капитан милиции Н. Желтухина в беседе подчеркнула, что самодеятельный духовой оркестр МВД Аджарии за последние два года существования достиг значительных успехов в повышении исполнительского мастерства участников коллектива, в расширении репертуара.

В Тбилиси коллектив как победитель смотра-конкурса был награжден Дипломом I степени, а по приказу министра ВД Аджарии, все члены оркестра были награждены денежной премией. В приказе отдельно была отмечена заслуга руководителя оркестра дирижера В. Задорина, который за активную организаторскую работу и в связи с 60-летием со дня рождения был награжден денежной премией и ценным подарком.

Дело в том, что духовой оркестр держится лишь на энтузиазме руководителя и участников оркестра.

Мы уже писали о том, что хорошо бы на базе этого коллектива создать государственный духовой оркестр. Культурная жизнь министерства и в целом республики от этого только выиграла бы.

**М. МИКЕЛАДЗЕ,**
**ст. лейтенант милиции, инструктор политотдела МВД Аджарской АССР.**



გაიმართა ეროვნული პირველობის მეშვიდე ტურის მატჩები. თბილისში დედაქალაქის ორი გუნდი შეხვდა ერთმანეთს — „იბერია" და „შევარდენი". იბერიელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ. ზ. რევიშვილისა და გ. გურულის მიერ გატანილმა გოლებმა მათ დამსახურებული გამარჯვება მოუპოვა.

სურათზე: უტევს ხ. ჭედია.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

უკანასკნელ წლებში მწერალმა გ. სანადირაძემ რამდენიმე წიგნი მიუძღვნა მილიციის მუშაკთა საქმიანობას. გასულ წელს გამოვიდა „აკრძალული თამაშები", რომელშიც ასახულია [illegible] მინისტრის მოადგილის რ. გვენცაძის ოპერატიული მუშაობის ფრაგმენტები.

ვიწყებთ ამ წიგნის მცირე შემოკლებით ბეჭდვას.

**ამბავი** ბოლოდან მინდა დავიწყო.

წარმოიდგინეთ საავადმყოფო. მისაღები. მორიგე ექიმი გაოცებული შეჰყურებს სისხლსა და ტალახში ამოსვრილ მამაკაცს.

ეს მამაკაცი რომან გვენცაძეა.

— რა ხდება? — სათვალის მიღმა გამომწვევად პრიალებენ მორიგე ექიმის თვალები.

— დაჭრილი მოვიყვანე.

რით არის დაჭრილი?

— ტყვიით!

— მორიგე ექიმმა ქალმა უცბად დახურა მაგიდაზე გადაშლილი წიგნი.

— რომანმა თვალი მოჰკრა. „პარმის სავანე".

— მილიციას უნდა შევატყობინოთ!

— მე თავად ვარ მილიციიდან.

დაეჭვებული გამოხედვა.

უნდობლობის აშკარა ნიშანი სახეზე.

იგი უნდა გადარჩეს!...

„საქმე დიდხანს მზადდება. შესაშური კონსპირაციითა და ყველა წვრილმანის გათვალისწინებით.

ადგილმდებარეობა. სადარბაზო. სართული. სარდაფი.

მეზობლები: შემთხვევით ატეხილ ხმაურზე ვის შეეძლო გამოეხედა. მათი ბინიდან გასვლისა და დაბრუნების დრო. გაზეთის დამტარებლის მოძრაობის გრაფიკი.

ასე ჩამოყალიბდა მოხუცი პოლკოვნიკის ბინის გაძარცვის სამოქმედო გეგმა. ეს გეგმა ხუთმა ავაზაკმა მოიყვანა სისრულეში.

ოთხი ადრევე დააპატიმრეს.

მეხუთე — მთავარი ორგანიზატორი — ახლა საოპერაციო მაგიდაზე იწვა.

მაშ ვინ იყო ის — მეექვსე, მეტისმეტი გულუხვობით რომ ფან-

**გიორგი სანადირაძე**

# აკრძალული თამაშები

— კეთილი ინებეთ და საბუთი მიჩვენეთ!

რომანს მკერდზე დაჭრილი ჰყავს მიხუტებული.

დაჭრილი კვნესის. ჩანს, ისევ წამოუარა ტკივილებმა.

— ტახტზე დააწვინეთ.

მამაკაცი ფრთხილად აწვენს დაჭრილს ზეწარგადაფარებულ ტახტზე.

მერე გულისჯიბიდან პირადობის მოწმობას იღებს.

— ინებეთ!

— ეს თქვენა ხართ?

— ალბათ.

— რას ნიშნავს „ალბათ"?

— იმას, რომ თქვენს წინაშე სისხლის სამართლის სამძებროს ინსპექტორი დგას.

— ფორმა რატომ არ გაცვიათ?

მამაკაცის მოთმინების ფიალას წვეთი აკლია მხოლოდ.

—დაუძახეთ მილიციას. დაუძახეთ ვისაც გინდათ! ეს ჩემი საქმე არ არის. მაგრამ პირველ რიგში ქირურგს დაუძახეთ! დაჭრილი გადაუდებელ ოპერატიულ დახმარებას საჭიროებს. გესმით ჩემი?!

წიგნზე ვეება მუშტი ეშვება.

სტენდალი უხერხულად იმშუშნება ამ ვეება მუშტის ქვეშ.

ქალი ფერს კარგავს.

მას ალბათ არასოდეს არ უნახავს ასეთი გამძვინვარებული სახე.

— ახლავე, — ლუღლუღებს, — ახლავე მოვაგვარებ ყველაფერს.

აფორიაქდა, ამოძრავდა საავადმყოფო.

რამდენიმე წუთში ქირურგიც მოიძებნა და რენტგენოლოგიც.

რომანი ხედავს — როგორ მიფლატუნობს ქირურგი.

გრძელია ფართხუნა შარვალი.

თეთრი გახამებული ჩაჩი.

ხოლო ხელები?...

რატომღაც ვაჟიშვილის სახე დაუდგა წინ.

ოთხი-ხუთი წელი და ისიც ოცისა გახდება...

ღმერთო რა სწრაფად გარბის წლები!

თავს არ უტყდება, თორემ გულის ერთი კუნჭული სავსეა თრთოლვით ორჭოფით, შიშით.

ჰო, მისთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია ჭაბუკის სიცოცხლე.

ტავდა ტყვიებს და ბოლოს გაქცევით უშველა თავს?

რომან გვენცაძე. — ამგვარ ფიქრებში რომ ვიყავი, ეტყობა ჩამთვლიმა, თორემ არ გამომეპარებოდა ის უჩვეულო ჩოჩქოლი, მისაღებიდან რომ აღწევდა. თავი ავწიე დერეფანში მორიგე ექიმი და მილიციის ოფიცერი დავინახე. ჩემსკენ მოემართებოდნენ. რა მიხვედრა უნდოდა, — მორიგე ექიმს ყოველი შემთხვევისათვის მაინც ეცნობებინა ადგილობრივი ორგანოებისათვის. მოვიდა. მაიორი იყო ასე — ორმოცდაათი ორმოცდათხუთმეტი წლისა. ხელი ჩამომართვა. „მომილოცავს, — მითხრა ცივად. ქუდბედიანი ყოფილხარ. სამ გარეწარს გაუმკლავდი... ერთი ჩვენს განყოფილებაში მოიყვანეს. ერთი აქ არის! მაგრამ — მესამე!... პრეტენზია გამოკრთა მაიორის ხმაში ამან გამაღიზიანა: „რა, ვალდებულება მქონდა აღებული? მე ერთის დასაჭერად ჩამოვედი". „ასეა," — ნიშნის მოგებით შემომხედა მაიორმა, ერთს ჩამოაკითხე — სამი დაგხვდა. „და იცით, ეს რატომ მოხდა? ერთობლივად უნდა გვემოქმედა. ღმერთმა დაიფაროს, რომ იგი არ გადარჩეს... ხომ დამეწერა ერთი მკვლელობა?...

— ეს მკვლელობა არაა!

— არ ვიცი შეიძლება ასეთ რამეებს თქვენთან სხვა სახელს უწოდებენ... ჩვენთან კი... ბოდიში... ეს მკვლელობაა...

არ ვიცი, როგორ წარიმართებოდა ჩვენში შემდგომი საუბარი, რომ დერეფანში ჩემი ნაცნობი ქირურგი არ დამენახა. საოპერაციოდან მოდიოდა.

— გაჩერდა, ხელთათმანიანი ხელით დოლბანდი ჩამოიწია პირიდან.

— აქ რას აკეთებთ? — მიუბრუნდა მაიორს.

— საქმეს ვარკვევ!

— გთხოვთ მისაღებში დაიცადოთ!...

ეს სიტყვები მხოლოდ მაიორს ეკუთვნოდა.

ამან მთლად გამოიყვანა წონასწორობიდან.

**(გაგრძელება შემდეგ ნომერში)**

# როგორც ახლობელი

**რედაქციაში** წერილი მოვიდა, რომელშიც ოჩამჩირელი ს. როგავა გვწერს:

ამას წინათ შუაღამისას შვიდი წლის ბავშვი ცუდად გაგვიხდა, ექიმის გარეშე დახმარების გაწევა შეუძლებელი იყო. დაუყოვნებლივ საავადმყოფოში უნდა წაგვეყვანა, მანქანა კი არ გვყავდა. ხელში ატაცებული ბავშვით გამოვედით ქუჩაში, იმის იმედით იქნებ ვინმემ მანქანა გაგვიჩეროსო.

უცებ მანქანაც გამოჩნდა, გადმოვიდა ვიღაც უცნობი ახალგაზრდა, დაგვამშვიდა, გრძნობადაკარგული ბავშვი გამოგვართვა და სასწრაფოდ საავადმყოფოში წაგვიყვანა.

ბავშვთა ექიმმა ზ. სოხაძემ ყველაფერი გააკეთა ჩვენი შვილის გადარჩენისათვის. ის უცნობი ახალგაზრდა ერთი წუთითაც არ მოგვშორებია. ისე მოგვეპყრა როგორც ძალიან ახლობელს. მხოლოდ მას შემდეგ წავიდა, როცა დარწმუნდა რომ ბავშვს უკვე არაფერი უჭირდა. ეს ახალგაზრდა კაცი აღმოჩნდა ოჩამჩირის შს რაიგანყოფილების უფროსი ა. ბარამია.

გვსურს თქვენი გაზეთის საშუალებით მადლობა ვუთხრათ მას გულისხმიერებისათვის, კეთილშობილებისათვის.

# სასარგებლო ნაშრომი

**უნივერსიტეტის** გამომცემლობამ დასტამბა საქართველოს სსრ შს მინისტრის პირველი მოადგილის, შ/ს გენერალ-მაიორ ვარლამ შადურის ბროშურა „ავტომობილიზაცია ერის საზრუნავი".

მართლაც, რომ ერის საზრუნავი გახდა ჩვენს გზებზე მოძრაობის წესრიგის განმტკიცება. წიგნში ამომწურავად და საქმის ცოდნით არის გადმოცემული ყველა მტკივნეული პრობლემა. ავტორი იხილავს ავტომობილიზაციის ოთხივე კომპონენტს — ადამიანი, ავტომობილი, გზა, ეკოლოგია. გზებზე უსაფრთხოების სპეციალურ პრობლემებზე ავტორი სამართლიანად მიუთითებს საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა აღრიცხვის ანალიზის საქმეში დაშვებულ ნაკლოვანებებზე, იმას, რომ დაზარალებულთა ზუსტი აღრიცხვა დღემდე ვერ მოხერხდა. ავარიაში მოყოლილი ადამიანი თუ ერთი კვირის შემდეგ გარდაიცვლება ეს ფაქტი საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევათა ჯგუფს არ განეკუთვნება.

ნაშრომში გაანალიზებულია საზოგადოების დამოკიდებულება ავარიებისადმი. ავტორი კატეგორიულად მოითხოვს კანონის გამკაცრებას, რათა დამრღვევების მიმართ შეიქმნას შეუგუებლობის, გაკიცხვის და აუცილებლად დასჯის ატმოსფერო. სარწმუნო მასალების მოშველიებით დასაბუთებულია უსაფრთხოების ღვედების გამოყენების და დადგენილი სიჩქარის დაცვის დიდი მნიშვნელობა ავარიების დროს დაღუპულთა რაოდენობის შემცირების საქმეში. წიგნში აგრეთვე დასმულია ბავშვთა ტრავმატიზმის პრობლემა, მოზარდთა შორის გზებზე მოძრაობის უსაფრთხოების წესების შესწავლაში არსებული ნაკლოვანებანი და დასახულია მისი უცილობლად გამოსწორების გზები.

ბროშურის ბოლო საკითხი ეხება რესპუბლიკაში საგზაო მოძრაობის უზრუნველყოფის სისტემას და სწორედ მიუთითებს ავტორი, რომ მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფა მეტად რთული ამოცანაა და მის გადაწყვეტაში უნდა ჩაერთოს მრავალი დარგი. ამ მიზნით კონკრეტული, საქმიანი ამოცანებია დასახული.

ავტორს მართლაც დიდი შრომა გაუწევია ამ სოციალური პრობლემის გასაშუქებლად.

**ზ. ცუცქირიძე,**
**საქართველოს სსრ შს სამინისტროს მოძრაობის უსაფრთხოების სამეცნიერო კვლევითი ცენტრის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი.**

ინდექსი 66689

НАШ АДРЕС: ТБИЛИСИ, 380064, УЛ. ГОГОЛЯ, 23, ТЕЛЕФОНЫ: 95-66-72; 99-1-41-24.
ჩვენი მისამართია: თბილისი, 380064; გოგოლის ქ. № 23. ტელეფონები: 95-66-72; 99-1-41-24.

რედაქტორი ა. კოპალაძე

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, იბეჭდება, ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის 29.

უე 09428